

## საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს 1.14 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

1.14 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე, დავალების (მიუხედავად იმისა შესრულდება თუ არა დავალება) რეკვიზიტები ან/და ბანკში არსებული მისი ნებისმიერი მონაცემი/ინფორმაცია გადასცეს პირს, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია (ბანკის მიერ კლიენტის დავალებით განხორციელებული ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურება), აგრეთვე ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც დაკავშირებულია დავალების შესრულებასთან.